

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა
მოსამართლეობის კანდიდატის ნინო ხაბალაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით				
მოსამართლეობის კანდიდატი	არ აკმაყოფილებს	კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		
მოსამართლეობის კანდიდატი	აკმაყოფილებს	კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს				<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით				
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა		
სამართლის წორმების ცოდნა	19	25		
სამართლის წორმების დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25		
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20		
პროფესიული თვისებები	9	15		
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10		
პროფესიული აქტივობა	5	5		
ქულათა ჯარი	80	100		

თარიღი: 17.09.2024

ვასილ შვერიერაძე





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ნინო ხაბალაშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭო“ 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (18 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭო“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა ნინო ხაბალაშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭო“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავიცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;
- „დ“ პროფესიული თვისებები;
- „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- „ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;
- „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;
- „დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;
- „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;
- „ი“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 40 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, 2005 წელი). სპეციალობით მუშაობს 18 წელია, კერძოდ:

- 2006 - 2009 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი;
- 2009 - 2016 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე;

- 2015 - 2016 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.
- 2016 მაისიდან - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწერ (მთავარი კონსულტანტი).

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. კანდიდატი კეთილსინდისიერია და კარგი რეპუტაციით სარგებლობს კოლექტივში. დავალების შესრულებისას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. გამოარჩევენ მის შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, ობიექტურობას, მიზანდასახულობას, თავდაჭერილობას, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატთან“ დავავშირებით ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში მისი მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. „კანდიდატი“ არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. კანდიდატი სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არ იძებნება. „კანდიდატის“ სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა 28,55 კვ.მ. ქ. თბილისი; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. 2021 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, „კანდიდატს“ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ეღლექტრონული საქმისწარმოების სამიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად 2007 წლის 11 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეზე. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. ნინო ხაბალაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/15; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიში - 9.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასებით: „ადმინისტრაციულ სამართალში ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადაც და უდავო ფაქტობრივი გარემოებები. მირითადად მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში. მოსაზრებებს აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს . მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა, ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას. სისხლის სამართალი - ვინაიდან სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია სჭირდება გარკვეული მითითება, თუმცა მითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს. მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, თუმცა ზოგჯერ მისი ზეპირი ფორმით მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად.“

ამავე დასკვნის თანახმად: „სამოქალაქო სამართალში ნინო ხაბალაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები არ არის გადატვირთული უშინაარსო ფრაზებით. წერისას იყენებს გასაგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია. ადმინისტრაციულ სამართალში წერილობით დოკუმენტებს, როგორც წესი, მინაარსობრივად სწორად აყალიბებს. სისხლის სამართალში, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები საჭიროებენ კორექტირებას და შესწორებას, თუმცა მთლიანობაში მას შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა გაიგოს და შეძლოს მისი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება საშუალო სირთულის გათვალისწინებით.“

2.1.8. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: 2016 წელი - ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს

საქმიანობა და გადაწყვეტილებები, ქ. სტრასბურგი, გერმანია; 2016 წელი - იურიდიული მართლწერა; 2017 წელი - ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში; 2018 წელი - „რელაციის ტექნიკა; მტკიცებულებათა შეფასება; მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო სამართალში“ და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას;

2.1.11. კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატიები: არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, უურნალი: „თეუსუ“ №1, 2009 წელი; არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება შრომითი უფლებების დარღვევის დროს, უურნალი: „ცხოვრება და კანონი“ №18, 2012 წელი.

2.1.12. „კანდიდატი“ ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

2.1.13. „კანდიდატს“ გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა.

2.1.14. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკუალიფიკაციო გამოცდა.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსცეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და დამაკმაყოფილებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან არაზუსტი პასუხი გასცა საკასაციო სამართალაწარმოებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, ვერ უპასუხა სამოქალაქო სამართალში აღსრულების შებრუნების საკითხთან დაკავშირებით კითხვას. ასევე არასწორი პასუხი გასცა ზიანის ანაზღაურების სარჩელზე შესაგებლის წარსადგენად მოპასუხისთვის განსაზღვრულ ვადასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას. მისი პასუხი არ იყო ამომწურავი ჩვენების მიცემასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე. კანდიდატს გაუჭირდა ერთმანეთისგან გაემიჯნა თაღლითობა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით და მოტყუებით დადებული გარიგების სამართლებრივი ხასიათი. კანდიდატმა ვერ განმარტა არსებული განსხვავება განსაკუთრებულ და საერთაშორისო კომპეტენციას შორის, ასევე ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო პრაქტიკა, კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმეცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი.

- აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

- ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;
- ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;
- გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;
- დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატის“ გააჩნია სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების ცოდნა. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატის შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. ზოგადად, უმეტეს სამართლებრივ საკითხზე დასმულ შეკითხვებზე „კანდიდატის“ პასუხები არ იყო ამომწურავი, ნაკლებად მოცულობითი იყო..ამასთან, საჯარო მოსმენისას არ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი აქტიურად ეცნობა კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

4.1.2. „კანდიდატის“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებაც. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასებით ირკვევა, „კანდიდატი“ წერისას იყენებს გასააგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონიურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია.

4.1.3. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ მიერ სამოქალაქო სამართალში მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები არ არის

გადატვირთული უშინაარსო ფრაზებით. წერისას იყენებს გასაგებ ენას, ადმინისტრაციულ სამართალში წერილობით დოკუმენტებს, როგორც წესი, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს. სისხლის სამართალში, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები საჭიროებენ კორექტირებას და შესწორებას, თუმცა მთლიანობაში მას შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა გაიგოს და შეძლოს მისი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება საშუალო სირთულის გათვალისწინებით. რაც შეეხება, „კანდიდატის“ ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს წათლად და გასაგებად გადმოსცემს, მსჯელობს თანმიმდევრულად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. „კანდიდატმა“ საჯარო მოსმენაზე წათლად და გასაგებად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შესვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ნინო ხაბალაშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 80 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 19

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 18

„დ“ პროფესიული თვისებები - 9

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშვენიერაძე

